ხელშეკრულება №58
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ
(სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქციის მომსახურებაზე)

„ 26“ დეკემბერი 2019 წელი

ერთის მხრივ, სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია (ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში), წარმოდგენილი სახელმწიფო რწმუნებულის ბესიკ ამირანაშვილის სახით, (შემდგომში „შემსყიდველი“) და მეორეს მხრივ, შპს „ჯორჯიან მიკროსისტემს“, წარმოდგენილი მისი დირექტორის არჩილ მაისურაძის სახით (შემდგომში „მიმწოდებელი“), ვხელმძღვანელობთ რა საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით და მათ შორის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ~ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვების შესახებ.

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან მისი მოქმედების მანძილზე საინფორმაციო-საძიებო კომპიუტერული სისტემა „Codex R4 Worksation“-ს მიმდინარე განახლება. (შემდგომში **„მომსახურება“).** (CPV კოდი 48600000).

1.2. დაფინანსების წყაროა სახელმწიფო ბიუჯეტი - 2020 წლის სახსრები.

2. შესყიდვის ობიექტი

2.1. შესყიდვის ობიექტია საინფორმაციო-საძიებო კომპიუტერული სისტემა „Codex R4 Worksation“ (ინდივიდუალური ვერსია) მონაცემთა ბაზით. ,,Codex R4 Worksation“ რეალიზირებულია ოპერატიულ სისტემა WINDOWS-XP/VISTA/7/10-ში.

2.2. კოდექსი მოიცავს მიმდინარე თარიღისათვის მიღებულ და მოქმედ:

- საქართველოს პრეზიდენტის, პარლამენტის, საქართველოს მთავრობის და სხვა სახელმწიფო დაწესებულებების ნორმატიულ აქტებს (დადგენილებები, ინსტრუქციები, დებულებები, მითითებები, წერილები, ფოსტპროგრამები და ა.შ.);
- საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის, მინისტრთა საბჭოს, მინისტრტა კაბინეტის ძირითად დადგენილებებს;
- საქართველოს კონსტიტუციური სასამართლოს განჩინებებს და გადაწყვეტილებებს;
- საქართველოს აღმასრულებელი ხელისუფლების მიერ დადებულ და რატიფიცირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს.

2.3. ინფორმაციული ბაზის მოცულობა შეადგენს 6721,9 მეგაბაიტს.

3. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება **შეადგენს 480 (ოთხასოთხმოცი) ლარს.**

3.2. მონაცემთა ბაზის ინფორმაციული განახლება, ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან, ანაზღაურდება ყოველი კვარტლის ბოლოს 120 (ას ოცი) ლარის ოდენობით.

3.3. დამკვეთის ახალ კომპიუტერზე, სისტემა ,,Codex R4 Worksation“-ის ინსტალირების შემთხვევაში, ინფორმაციული განახლების ანაზღაურება გაიზრდება თვეში 10 ლარის ოდენობით (კვარტალში 30 ლარით).

3.4. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის ყველა ხარჯსა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. მომსახურების ხარისხი და გარანტია

4.1. მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას, რომ გაწეული მომსახურების ხარისხი უპასუხებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს და დააკმაყოფილებს ამ სფეროში არსებულ სტანდარტებს და ტეკნიკურ ნორმებს.

5. მომსახურების მიწოდების ადგილი და ვადები

5.1. მომსახურების მიწოდების ვადა განისაზღვრება **2020 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.**

5.2. მომსახურების მიწოდების ადგილია: ქ. ახალციხე, შალვა ახალციხელის ქ. №2

6. მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

6.1. მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს შემსყიდველისათვის საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაციის წარდგენა (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა).

6.2. მომსახურება მიღებულად ჩაითვლება მხოლოდ შემსყიდველის მიერ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის დადასტურების შემდეგ.

6.3. საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე შემსყიდველი ახდენს ანგარიშსწორებას მიმწოდებლისგან ფაქტიურად განხორციელებული მომსახურებისათვის.

7. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

7.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება ეროვნულ ვალუტაში უნაღდო ანგარიშსწორების წესით.

7.2. მომსახურების ღირებულების ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ მოხდება ყოველკვარტალურად, მომსახურების გაწევისა და წინამდებარე შემსყიდველის მიერ ხელშეკრულების 6.1. პუნქტში მითითებული დოკუმენტაციის დადასტურებიდან არაუმეტეს 10 (ათი) კალენდარული დღის ვადაში.

8. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

8.1. შემსყიდველი უფლებამოსილია განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი.

8.2. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8.3. შემსყიდველი ვალდებულია დაიცვას საინფორმაციო-საძიებო სისტემა „Codex R4 Worksation“ არასანქცირებული გამრავლებისაგან.

8.4. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

8.5. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს კოდექსის განახლების ფაილები დამკვეთს, ინტერნეტ-ის საშუალებით ახალი საკანონმდებლო და ნორმატიული აქტების მიღების შესაბამისად დამკვეთის მიერ წარმოდგენილი ელ.ფოსტის შემდეგ მისამართზე: s.j.gubernia@gmail.com.

8.6. მიმწოდებელი ვალდებულია გაუწიოს სათანადო ხარისხის მომსახურება.

9. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

9.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით.

9.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 10 (ათი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.

9.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

10.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

10.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

10.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

10.5. მხარე ვალდებულია არანაკლებ 5 (ხუთი) დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მარეს გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის თაობაზე.

10.6. ხელშეკრულება ასევე შესაძლებელია შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

11 დავები და მათი გადაწყვეტის წესი

11.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

12. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

12.1. ხელშეკრულება ძალაში შედის 2020 წლის 01 იანვრიდან და მოქმედებს **2021 წლის 31 იანვრის ჩათვლით.**

13. ფორს-მაჟორი

13.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები.

13.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

14. სხვა პირობები

14.1. არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება გადასცეს მესამე პირს თავისი უფლებები და მოვალეობები, მეორე მხარის წერილობითი თანხმობის გარეშე.

14.2. მესამე პირთან ურთიერთობაში მხარეები მოქმედებენ თავიანთი სახელით, ხარჯებითა და რისკით.

14.3. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ელექტრონულად, რომლის ყოველი ელექტრონული ეგზემპლარი ორიგინალია.

14.4. ხელშეკრულებასთან დაკავშირებული ნებისმიერი მიმოწერა შესრულებული უნდა იყოს ქართულ ენაზე.

15. მხარეთა რეკვიზიტები

“შემსყიდველი“	**“მიმწოდებელი“**
სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია (ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ახალქალაქის, ბორჯომისა და ნინოწმინდის მუნიციპალიტეტებში)	**შპს `ჯორჯიან მიკროსისტემს~**
ს/ნ 224067961	ს/ნ 202268517
ქ. ახალციხე, შალვა ახალციხელის ქ. №2	ქ. თბილისი, დ. უზნაძის ქ. №4
სახელმწიფო ხაზინა, კოდი – TRESGE22; ა/ნ 200122900	ს.ს. “პროკრედიტ ბანკი“ ბ/კ MIBGGE22, ა/ა №GE40PC0293600100008969
სახელმწიფო რწმუნებული	დირექტორი
ბესიკ ამირანაშვილი	არჩილ მაისურაძე
Administration of Representative in Adigeni Aspindza Akhaltsikhe Akhalkalaki Borjomi and Ninotsminda Municipalities Digitally signed by Administration of Representative in Adigeni Aspindza Akhaltsikhe Akhalkalaki Borjomi and Ninotsminda Municipalities Date: 2019.12.26 18:08:25 +04'00'	Georgian Microsystems LTD Digitally signed by Georgian Microsystems LTD Date: 2019.12.26 17:43:23 +04'00'